პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (matsne.gov.ge), 23.10.2008, სარეგისტრაციო კოდი: 010.080.000.05.001.003.300) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. **მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**
„3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე, აღნიშნულ ტერიტორიებზე დაბადებულ და ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი) არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი: **სალომე ზურაბიშვილი**